საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე კინამოსი

იოანე კინამოსი (Iōannēs Kinnamos), XII ს. ბიზანტიელი ქრონისტი. იყო იმპ. მანუელ I კომნენოსის (1143–80) მდივანი და დაახლოებული პირი.

მისი ისტ. ქრონიკა „შემოკლებული ისტორია" დაწერილია 1180–83 და მოიცავს 1118– 76 პერიოდს. მოყვანილი ფაქტები უმეტესად ემყარება ოფიც. დოკუმენტებს, პირველწყა-როებს. ი. კ. გვაწვდის ცნობებს XII ს. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ (იბერიელების მონაწილეობა ბიზანტ. ჯარში, იბერიელთა და აბაზგთა ელჩები კეისრის კარზე), საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ამ დროის ტრაპიზონს.

თხზ.: Epitome rerum ab Ioanne et Alexio Comnenis gestarum, Bonnae, 1836; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

ნ. ლომოური